ოქმი:**ო12. 3725343001**

თარიღი:**09/12/2025**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 8 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
14:30-15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, დ. ხურციძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. ჭანიშვილი, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, თ. ქავთარია, მ. ცქვიტინიძე, ე. წუწუნავა, გ. ჩავლეშვილი, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში, საკრებულოს წევრის ლავრენტი ქვილორიას წინადადების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, ტატა ბარამიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის, ლავრენტი ქვილორიას წინადადება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ. ტ. ბარამიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული წინადადება წარმოდგენილი არ იყო ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნების და წინასწარი განხილვის პროცედურის შესაბამისად, ვინაიდან ის დარეგისტრირდა მიმდინარე წლის 25 ნოემბრის შემდეგ. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე, აღნიშნული წინადადების გათვალისწინება ტექნიკურად შეუძლებელია. თუმცა, მისი სრულყოფის შემთხვევაში, შესაძლებელია წინადადების შემდგომი განხილვის გაგრძელება.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი